საქართველოს მთავრობის

დადგენილება №525

2022 წლის 15 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 20/10/2015; 240110000.10.003.018919) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 – 2^5 პუნქტები:

„2^1. აუდიტის განხორციელების დროს შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ბიზნესოპერატორს შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით აძლევს რეკომენდაციას და გონივრულ ვადას მათ შესასრულებლად, ასევე განუმარტავს რეკომენდაციის შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო შედეგებს.

2^2. შეუსაბამობის გამოსწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციისა და მათი შესრულებისათვის გონივრული ვადის განსაზღვრისას მონაწილეობას იღებს ბიზნესოპერატორი ან მისი წარმომადგენელი.

2^3. გონივრული ვადის გასვლის შემდეგ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, გადაამოწმოს რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა.

2^4. რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ბიზნესოპერატორს უჩერებს საწარმოო პროცესს და ხდება აღიარების გაუქმება, იმ შემთხვევაში, თუ საწარომო აღიარებულია.

2^5. ამ მუხლის 2^1 და 2^4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლებამოსილი პირის მიერ ბიზნესოპერატორის დაჯარიმება არ ხდება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**